GODERDZI
R E S O R T S

შპს „გოდერძი რესორტს“
ქ. ბათუმი, კომახიძის № 119
ტ: +995 599020182, ს.კ. 245629388
office@goderdzi.ge, www.goderdzi.ge

GRASS
REFORMANDA
ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია“
ნერილის რეგისტრაციის № 96
თარიღი: 23 04 2015 წ.

39
"22" "აპრილი" 2015 წ.

საქართველოს რეფორმების ასოციაციის
(GRASS) ვიცე-დირექტორს
ბატონ პაატა გაფრინდაშვილს

ბატონო პაატა,

თქვენი 2015 წლის 5 მარტის #98 კორესპონდენციის პასუხად, მოწოდებული კითხვარის შესაბამისად წარმოგიდგენთ ინფორმაციას გოდერძის უღელტეხილის მიმდებარე ტერიტორიაზე მშენებარე სამთო-სათხილამურო კურორტის შესახებ.

დანართი 4 ფურცელი.

პატივისცემით,

ჯემალ ბოლქვაძე
დ ი რ ე ქ ტ ო რ ი

ინფორმაცია გოდერძის უღელტეხილის მიმდებარე ტერიტორიაზე მშენებარე სამთო სათხილამურო კურორტის შესახებ

- როდის დაიგეგმა და დაიწყო გოდერძის უღელტეხილზე კურორტის სამშენებლო სამუშაოები?

გოდერძის უღელტეხილის მიმდებარე ტერიტორიაზე კურორტის განვითარების გენერალური გეგმის პირველადი კონცეფცია შეიმუშავა საერთაშორისო კომპანია HOK-მა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დაკვეთით 2009 წელს. სამშენებლო სამუშაოები დაიწყო 2011 წელს.

- ვინ ახორციელებს სამშენებლო სამუშაოებს?

კურორტის ინფრასტრუქტურის მოწყობასთან დაკავშირებული სამუშაოების და მომსახურების მიწოდებას, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 100 პროცენტიანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შპს "Goderdzi Resorts"-ის დაკვეთით ასრულებდნენ და ასრულებენ სხვადასხვა კომპანიები.

2011 და 2012 წლებში გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე ძირითადი სამუშაოების და მომსახურების მომწოდებლებია: შპს "გის და დზ საკონსულტაციო ცენტრი "გეოგრაფიკი" (ს/ნ 204920309), შპს „გზამშენპროექტი“ (ს/ნ 205025505), ი/მ "კარსანიძე გენრიხ-კარსანი" (ს/ნ 01026013291), შპს "ფონი" (ს/ნ 245538976), შპს „აჭარსპეცპროექტი“ (ს/ნ 245427364), შპს „დილემა“ (ს/ნ 205073025), შპს „ენერგოპრო ჯორჯია“ (ს/ნ 205169066), შპს „სტუდია არსი“ (ს/ნ 205210136), შპს „ვილსფორტ მენეჯმენტი“ (ს/ნ 404918666), შპს „ენერგოსექტორმშენი“ (ს/ნ 404880081), შპს „ზიმო“ (ს/ნ 211338015), შპს „ვუდ სერვისი“ (ს/ნ 211384633), შპს „კავკასოს როუდ პროჯექტი“ (ს/ნ 202258243), შპს "ბაუერ ჯორჯია" (ს/ნ 204572006), შპს "ატს ჯეო" (ს/ნ 445393574), ი/მ „სერგო მეფარიშვილი“ (ს/ნ 610030100775), ფ/პ „ვაჟა აბულაძე“ (ს/ნ 61008001817), სს „ელექტროქსელმშენი“ (ს/ნ 231945241).

2013 წლიდან შესყიდვები ხორციელდება გამარტივებული ელექტრონული და ელექტრონული ტენდერების საშუალებით (სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული მონეტარული ზღვრების გათვალისწინებით) და ტენდერების ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე ძირითადი სამუშაოების და მომსახურების მომწოდებლებია: შპს "ROM TRANSI" (ს/ნ 445400511), შპს "გეომეფი" (ს/ნ 215149177), ი/მ "გოჩა აბაშიძე" (ს/ნ 61002000930), შპს "გალაქტიკა" (ს/ნ 443119180), სს "აჭარკაპმშენი" (ს/ნ 245423778), შპს "მშენ-გროუფი" (ს/ნ 400028395), ი/მ "რევაზ დიდმანიძე" (ს/ნ 61001013735), ფ/პ „მურად ბოლქვაძე“ (ს/ნ 61007002974), შპს "NOVO" (ს/ნ 404924588), შპს "მედმშენი" (ს/ნ 404863108), შპს "ნოველთი" (ს/ნ 445437732), შპს "ვიგორა" (ს/ნ 445427360), შპს "ქსელმშენი 2008" (ს/ნ 200258620), ი/მ "მალხაზ კოჩალიძე" (ს/ნ 61009011642), შპს "ახალშენი" (ს/ნ 404384769).

კურორტის მთავარი ინფრასტრუქტურის - 8 ადგილიანი, გონდოლებიანი საბაგირო გზის და 6 ადგილიანი, სავარძლებიანი საბაგირო გზის აღჭურვილობის მოწოდება და მონტაჟის ზედამხედველობა, 2012 წლის 8 ივნისის #WAA0003077/3078 ხელშეკრულების საფუძველზე განახორციელა ავსტრიულმა კომპანია "DOPPELMAYR Seilbahnen"-მა.

შპს "Goderdzi Resorts"-ის მიერ განხორციელებული ყველა შესყიდვის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებების შესახებ სრული საჯარო ინფორმაცია განთავსებულია სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

- ამჟამად რა ეტაპზეა "Goderdzi Resorts"-ის სამშენებლო სამუშაოები და გეგმით გათვალისწინებული სამუშაოების რა ნაწილია შესრულებული?

სახელმწიფო დაფინანსებით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების 90 პროცენტი შესრულებულია.

დასრულებულია კურორტის მთავარი ინფრასტრუქტურის - 8 ადგილიანი, გონდოლებიანი საბაგირო გზის და 6 ადგილიანი, სავარძლებიანი საბაგირო გზის მშნებლობა. საბაგირო გზები საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2015 წლის 13 მარტის #07/01-05 ბრძანებით შესულია ექსპლოატაციაში.

ასევე, დასრულებულია კურორტის ელექტრო და წყალმომარაგების სისტემების მშენებლობა, დაახლოებით 6500-7000 მეტრი საერთო სიგრძის სათხილამურო ტრასების მშენებლობა, დასრულების ეტაპზეა კურორტის ქვედა დასახლების კეთილმოწყობა, კანალიზაციის და წყალარინების სისტემების, კურორტის ადმინისტრაციული შენობის და სასტუმროს ტიპის კოტეჯების მშენებლობა, რითაც დასრულდება საკურორტო ინფრასტრუქტურის მოწყობის პირველი ეტაპი.

- რა ოდენობის თანხაა დახარჯული დასრულებულ ინფრასტრუქტურაზე, როდის იქნა ეს თანხები მოძიებული და საიდან? (გთხოვთ, ინფორმაცია მოგვაწოდოთ ჩაშლილად, შესაბამისი ინფრასტრუქტურისა და მასზე დახარჯული თანხის მიხედვით)

დღეის მდგომარეობით საკურორტო ინფრასტრუქტურის მოწყობისათვის და სხვა აუცილებელი ტექნიკის, ინვენტარისა და აღჭურვილობების შეძენისათვის გახარჯულია 42 393,0 ათასი ლარი. მათ შორის 10 930,0 ათასი ევრო (23 440,5 ათასი ლარი) დახარჯული იქნა ავსტრიის მიერ საქართველოს მთავრობისათვის გამოყოფილი გრძელვადიანი შეღავათიანი სესხის (ექსპორტის საკრედიტო ხელშეკრულება - შეღავათიანი სესხი #232.540; 18.06.2012 წელი) ფარგლებში და 18952,5 ათასი ლარი გამოყოფილი იქნა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საქართველოს მთავრობის 2011 წლის #1342, 2012 წლის # 984, 2012 წლის # 1353 და 2013 წლის #705 განკარგულებების საფუძველზე.

ინფორმაცია გახარჯული თანხების შესახებ

	დასახელება	ღირებულება (საკასო) ათასი ლარი	შენიშვნა
	სულ ფაქტიურად გახარჯული თანხა	**42 393,0**	
	სულ ინფრასტრუქტურული ობიექტები და დამხმარე ნაგებობები	**38 790,7**	
1	კურორტის ქვედა დასახლებასთან მისასვლელი გზა	851,6	მიმდინარე
2	ტექნიკური გზები საბაგირო გზების სადგურების და ანძების მონტაჟისათვის	809,5	დასრულებული
3	საბაგირო გზა G02	10 866,8	დასრულებული

4	საბაგირო გზა G02-ის გონდოლების პარკირების შენობა	306,4	დასრულებული
5	საბაგირო გზა G01	17 699,9	დასრულებული
6	საბაგირო გზა G01-ის გონდოლების პარკირების შენობა	536,4	დასრულებული
7	საბაგირო გზის მართვის პულტის შენობები (4 ცალი)	87,7	დასრულებული
8	კურორტის საკანალიზაციო სისტემა	499,8	მიმდინარე
9	სათხილამურო ტრასები (საერთო სიგრძე დაახლოებით 6500-7000 მეტრი)	1 239,1	დასრულებული
10	12 ნომრიანი სასტუმრო	935,0	დასრულებული
11	კურორტის წყალმომარაგების სისტემა	581,9	დასრულებული
12	კურორტის ელექტრომომარაგების სისტემა	2 349,1	დასრულებული
13	სასტუმროს ტიპის სლავური სტილის ხიჟინა	405,0	დასრულებული
14	სპეცტექნიკის პარკირების შენობა	41,3	მიმდინარე
15	12 ადგილიანი სასტუმროს ტიპის 6 ცალი კოტეჯი	1 148,0	მიმდინარე
16	საბაგირო გზების ბილეთების სარეალიზაციო ჯიხური	13,3	დასრულებული
17	კურორტის მომსახურე პერსონალის საცხოვრებელი სახლი (ადმინისტრაციული შენობა)	365,0	მიმდინარე
18	საწვავის გასამართი სადგური სპეცტექნიკისათვის	9,6	მიმდინარე
19	საქვაბე	45,3	დასრულებული
	სულ მოწყობილობები, აღჭურვილობები, ტექნიკა და სხვა ინვენტარი	**2 880,3**	
1	პორტატული მეტეოსადგურები	80,2	გამართული
2	გენერატორები	27,3	გამართული
3	საცხოვრებელი კონტეინერები	56,5	ვარგისი
4	პორტატული რადიოსადგური	18,1	გამართული
5	საწვავის რეზერვუარები	25,2	ვარგისი
6	საბაგირო გზის საკონტროლო-გამშვები მოწყობილობა SKIDATA	176,9	გამართული
7	სხვა დანადგარები (თოვლის საწმენდი აპარატი, ვიდეოკამერები და სხვა)	18,7	გამართული
8	სპეციალური ინვენტარი (თხილამურები, სამაშველო და სათხილამურო ტრასის დამცავი მოწყობილობები და სხვა)	423,7	ვარგისი
9	სპეცმოწყობილობები (შედუღების აპარატი, ელექტრო დრელი და სხვა)	1,2	გამართული
10	სხვა ინვენტარი (სეიფი, სასწორი და სხვა)	1,0	ვარგისი
11	კომპიუტერული ტექნიკა	9,3	ვარგისი
12	სატრანსპორტო საშუალებები	65,9	გამართული
13	სპეციალური ტექნიკა (თოვლის სატკეპნი ტრაქტორები, თოვლმავლები, ბენზინმზიდი, ტრაქტორი და სხვა)	1 526,8	გამართული
14	არამატერიალური აქტივები (კურორტის განაშენიანების და მიწათსარგებლობის გენერალური გეგმები)	449,5	
	წინასწარ გაწეული ხარჯები (პროექტირება)	**17,7**	
	სულ სხვა ხარჯები	**704,3**	
1	საზაფხულო იალაღების გადატანისათვის გადახდილი საკომპენსაციო თანხები	475,4	
2	მოსახლეობის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების გამოსყიდვა	228,9	

- რამდენი ადამიანია დასაქმებული გოდერძი რესორტსის სამშენებლო სამუშაოებზე?

სამშენებლო სამუშაოებზე დასაქმებულთა რიცხვი წელიწადის სეზონისა და სამშენებლო სამუშაოების ინტენსივობის მიხედვით მკვეთრად იცვლებოდა. ყველაზე ინტენსიური სამუშაოების წარმოების პერიოდში მშენებლობაზე დასაქმებულთა რაოდენობა 300 ადამიანს აღწევდა.

- რამდენ ვიზიტორს მოემსახურება კურორტი და რამდენი ინვესტიცია განხორციელდა ამ კურორტის ასაშენებლად?

სახელმწიფოს მიერ განსახორციელებელი ინვესტიციების დასრულების შემდგომ კურორტს საშუალება ექნება ღამისთევით მოემსახუროს ერთდროულად 120 დამსვენებელს. თუმცა, ამავე დროს უკვე მწყობრში იქნება მოყვანილი მთელი ის ინფრასტრუქტურა (საბაგირო გზები, სათხილამურო ტრასები, ცენტრალური ენერგო და წყალმომარაგების და საკანალიზაციო სისტემები), რომელსაც შეეძლება, კერძო ინვესტორების მიერ სასტუმროების მშენებლობის შემდგომ, ერთდროულად მოემსახუროს 3500 დამსვენებელს.

GEORGIA "GODERDZI RESORTS" LTD
245629388